



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო**



განკარგულება:გ-49. 492320910

თარიღი:28/07/2023

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 102**

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით--იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4823205117, 24/07/2023) წერილი, რომელშიც ითხოვს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით-- იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრას წარმოდგენილი დანართის შესაბამისად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით-- იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს დანართი №1-ის შესაბამისად.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიცირებული  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
2023 წლის 28 ივლისის №102 განკარგულების  
დანართი №1

№	ქონების ადგილმდებარეობა	დასახელება და ფართობი	საკადასტრო კოდი	წლიური საიჯარო ქირა (ლარი).
1	2	3	4	5
1	ქალაქი წყალტუბო, კოლხეთის ქუჩა N2.	შენობის მესამე სართულზე განთავსებული 216 კვ.მ. ფართი.	29.08.33.031	15000